

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამა 2009 წლის სავალდებულო გამოცდისათვის

I. ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის მიერ მომზადებული კრებულის შესავალი (კრებული უახლოეს მომავალში გამოვა)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ გატარებულმა რეფორმამ, კერძოდ, თორმეტწლიან სწავლებაზე გადასვლამ და, რაც მთავარია, სწავლების ორიენტირებამ შედეგზე, ბუნებრივად გამოიწვია სასწავლო გეგმების შეცვლა და ახალი სახელმძღვანელოების დანერგვა. 2009 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობას სწორედ ის აბიტურიენტები მიიღებენ, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის ტრადიციული საგანის განსხვავებული კურსი ექნებათ გავლილი. ყოველივე ამან თავისთავად მოითხოვა გარკვეული ცვლილებების შეტანა ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო პროგრამაშიც და ტესტებშიც.

პირველ რიგში ეს ცვლილება შეეხო წერით დავალებას, კერძოდ, საგამოცდო ტესტის I ნაწილს (ქართული ენა) დაემატა დავალება, რომელიც საქმიანი წერილის შედგენის უნარს შეამოწმებს (დაწვრილებით იხ. კრებულში).

გარკვეული ცვლილება განიცადა ტესტის IV ნაწილმაც (წერითი დავალება), რომელიც მხატვრული ტექსტის ანალიზის უნარს ამოწმებს: აქამდე ტექსტები წერითი დავალებებისათვის სკოლის სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან იყო შერჩეული, მომავალი წლისათვის კი დავალებაში მოცემული იქნება ის ნაწარმოებები (ან მათი ნაწყვეტები), რომლებიც აბიტურიენტებს სკოლაში შესწავლილი არ აქვთ. წერითი დავალებით შემოწმდება ის, თუ როგორ გააანალიზებს აბიტურიენტი უკვე შესწავლილი თხზულებების ანალოგიური სირთულის მხატვრულ ტექსტს. მაგალითად: თუ მოსწავლემ ნიკო ლორთქიფანიძის ერთი ნაწარმოები შეისწავლა, შეძლებს თუ არა იგი ამავე მწერლის სხვა, მისთვის უცნობი, ტექსტის განხილვას. აღნიშნული ცვლილების ერთ-ერთი მიზეზი ისიც გახლავთ, რომ სკოლაში შესწავლილი მასალის ანალიზი, მიუხედავად მითითებების ორიგინალურობისა, მაინც შეიცავს დაშტამპვისა და სტერეოტიპული მსჯელობების საფრთხეს, რაც გასული წლის გამოცდაზე უკვე შეინიშნებოდა.

აქვე უნდა დავამატოთ ისიც, რომ ნაცვლად სამი დავალებისა (რომელთაგანაც აბიტურიენტს ერთ-ერთი უნდა აერჩია) მოცემული იქნება – ორი. წინა წლების გამოცდების შედეგების ანალიზმა გვიჩვენა, რომ ინტერტექსტუალური წერითი დავალება ბევრად უფრო რთულია, ვიდრე დანარჩენები. ამიტომ ამგვარი დავალება უნდა შევიდეს არჩევითი (კუმანიტარული ფაკულტეტებისათვის გამიზნული) გამოცდის ტესტში, სავალდებულო გამოცდის ტესტის წერითი დავალების ნაწილში კი მხოლოდ პროზაული და პოეტური ტექსტების მიხედვით შედგენილი დავალებები დარჩეს.

ასე რომ, წერითი დავალების ნაწილში შევა მხოლოდ ორი ნაწარმოები (ან მათი მონაკვეთები) შესაბამის მითითებებთან ერთად და, ამასთანავე, ეს იქნება აბიტურიენტთათვის უცნობი ტექსტები.

ამავე დროს, სანამ უშუალოდ წერას დაიწყებს, აბიტურიენტმა უნდა უპასუხოს რამდენიმე კითხვას, რომლებიც, ერთი მხრივ, ამ უცნობი ტექსტის გააზრების უნარს შეამოწმებს, მეორე მხრივ კი, დაეხმარება აბიტურიენტს კარგად გაიგოს ტექსტი და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყოს წერითი დავალების მითითებების შესრულება.

ტესტის იმ ნაწილში, რომელსაც ეწოდება „ქართული ლიტერატურა“, მოცემული იქნება ნაკლები რაოდენობის დავალება, ვიდრე ეს წინა წლებში იყო, მაგრამ თითოეულ დავალებას 1 ან 2 ქულის ნაცვლად 4 ან 5 ქულა მიენიჭება. მაშასადამე, თუ წინა წლებში საგამოცდო ტესტის „ქართული ლიტერატურის“ ნაწილში 18-20 თითოქულიანი დავალება იყო, 2009 წლის ტესტში შევა მრავალქულიანი დავალებები, რომლებსაც წინ მხატვრული ტექსტების უფრო დიდი მონაკვეთები ექნება წამდვარებული, ვიდრე ეს ადრინდელ საგამოცდო ტესტებში იყო მოცემული.

აღნიშნული რამდენიმექულიანი დავალებით, წინა წლებისაგან განსხვავებით, მხოლოდ წაკითხულის გაგება კი არ შეფასდება, არამედ ამ ტიპის კითხვებით გარკვეულწილად ცოდნაც შემოწმდება და უნარიც (ამ შემთხვევაში, მხატვრული ტექსტის გააზრების უნარი). მაგალითად, დავალების ერთ-ერთი ქვეკითხვა იმის გააზრებას მოითხოვს, თუ როგორ არის

გამოხატული ტექსტში ავტორის პოზიცია, სხვა ქვეკითხვა კი – იმის ცოდნას, ვთქვათ, ვის (ან რის) შესახებ საუბრობს ნაწარმოების ესა თუ ის პერსონაჟი.

ამ ტიპის დავალებებიდან ერთი ქვეკითხვა შეიძლება ამგვარიც იყოს: მწერლობის რომელ მიმდინარეობას მიეკუთვნება ეს ტექსტი? (ვთქვათ, რომანტიკულს ან სიმბოლისტურს), ანდა: დაასახელეთ სხვა ქართველი ავტორის ნაწარმოები, რომელშიც ანალოგიური აზრია გამოხატული და ა. შ.

ასე რომ, 2009 წლის საგამოცდო ტესტში არსებითი ხასიათის ცვლილებები შევა, ეს კი, თავის მხრივ, მოსწავლეებისა და მათი პედაგოგებისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს.

საგამოცდო ტესტში კრებულის არც ერთი დავალება არ განმეორდება!

კრებულში დაიბეჭდება:

- მისაღები გამოცდების მოთხოვნები;
- საგამოცდო პროგრამა ქართულ ენასა და ლიტერატურაში;
- ქართული ენა (ტესტური დავალებების ნიმუშები შეფასების სქემებითურთ);
- ქართული ლიტერატურა (ტესტური დავალებების ნიმუშები შეფასების სქემებითურთ);
- წაკითხულის გააზრება და წერითი დავალება (ტესტური დავალებების ნიმუშები);
- წერითი დავალებების შეფასების კრიტერიუმები და მათი განმარტებები;
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული და მოცემული კრიტერიუმების მეშვეობით გასწორებული წერითი ნამუშევრები, აგრეთვე ამ შეფასებათა კომენტარები.

II. მისაღები გამოცდების მოთხოვნები ქართულ ენასა და ლიტერატურაში

მისაღებ გამოცდებზე აბიტურიენტს მოეთხოვება:

- ენის გამომსახველობით საშუალებათა (როგორც ლექსიკურის, ისე გრამატიკულის) ადეკვატური გამოყენება;
- ლიტერატურული მასალის საფუძველზე პრობლემის დასმა, გააზრება და ანალიზი;
- არგუმენტების ლოგიკურად, დამაჯერებლად ჩამოყალიბება და შესაბამისი მაგალითებით გამყარება;
- ლიტერატურული ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ანალიზი, კომენტარი;
- საქმიანი წერილის შედგენა;
- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ ნაწარმოებთა შორის მსგავსებებისა და განსხვავებების მიგნება და შედარებითი ანალიზი;
- მწერლის ენის, სტილის ძირითადი თავისებურებებისა და გამომსახველობითი საშუალებების სწორად აღქმა და გააზრება;
- ლიტერატურული ტექსტისადმი ინდივიდუალური დამოკიდებულების გამოვლენა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით შემოწმდება:

- საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებული მასალის გამოყენების უნარი;
- კითხვაში (დავალებაში) მინიშნებული ინფორმაციის ტექსტში მოცემულ ინფორმაციასთან გაიგივების (იდენტიფიცირების) უნარი;
- ინფორმაციის გააზრების, ანალიზის, განზოგადებისა და დასკვნის გამოტანის უნარი;
- დამოუკიდებელი, კრიტიკული აზროვნების უნარი;
- წერითი მეტყველების უნარი თანამედროვე სალიტერატურო ენის ნორმების დაცვით.

ამრიგად, ქართული ენისა და ლიტერატურის საგამოცდო ტესტით მოწმდება: შექმნილი ცოდნის პრაქტიკული გამოყენების, უცნობი ტექსტის გააზრების, მხატვრული ტექსტის ანალიზისა და საქმიანი წერილის შედგენის უნარი, აგრეთვე – წერის კულტურა.

III. საგამოცდო პროგრამა

1. ქართული ენა

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელმა გამოცდაზე უნდა გამოავლინოს ქართული ენის საფუძვლიანი ცოდნა და მისი პრაქტიკული გამოყენების უნარი. საგანგებო ეურადღება მიეძღვნება მეტყველების კულტურის საკითხებს.

აბიტურიენტს მოეთხოვება შემდეგი საკითხების ცოდნა:

ქართული ენა და მისი ადგილი მსოფლიო ენათა სისტემაში. ქართველური ენები. ქართული სალიტერატურო ენის დასაბამი და მისი განვითარების ძირითადი საფეხურები. ქართული სალიტერატურო ენა და დიალექტები. ქართული დამწერლობის წარმოშობა. ქართული დამწერლობის განვითარების საფეხურები. ქართული ენის უძველესი წერილობითი ძეგლები. ქართული ენის ძირითადი ლექსიკონები.

ბგერა და ასო. ხმოვნები და თანხმოვნები. მარცვალი. ხმარებიდან გასული ასოები.

სიტყვა, მისი პირდაპირი და გადატანითი მნიშვნელობა. სიტყვის მნიშვნელობის ცვლა: გაფართოება და დავიწროება. სინონიმები; ომონიმები; ანტონიმები; პარონიმები; დიალექტიზმები; არქაიზმები; ნეოლოგიზმები; ნასესხები სიტყვები; ბარბარიზმები; სიტყვათა მყარი შესამებანი;

სტილის რაობა. ფუნქციური სტილისტიკა. ლექსიკური სტილისტიკა. სიტყვათა შერჩევა მნიშვნელობის მიხედვით. პარონიმები, ეფემიზმები, თავაზიანობის გამომხატველი სიტყვები. სტილისტური ხარვეზები: ტავტოლოგია, კალკი, ატროფია (სიტყვის გამოყენება არაზუსტი მნიშვნელობით).

მეტყველების ნაწილები: არსებითი სახელი, ჯგუფები შინაარსის მიხედვით, საზოგადო და საკუთარ სახელთა ბრუნება; ზედსართავი სახელი, ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმები, ზედსართავ სახელთა ბრუნება დამოუკიდებლად და არსებით სახელთან ერთად; არსებითი სახელი მსაზღვრელად; რიცხვითი სახელი, რიცხვითი სახელების ჯგუფები, რიცხვითი სახელების ბრუნება; ნაცვალსახელი, ნაცვალსახელთა ჯგუფები, ნაცვალსახელთა ბრუნება. წარმოქმნილი და ძირეული სიტყვები, მარტივი და რთული სიტყვები; სიტყვათა შემოკლებით შეერთება; შემოკლებული დაწერა; ზმნა, ზმნის პირი და რიცხვი, ზმნისწინი, დრო, ასპექტი, კილო, გარდამავლობა, მწკრივები და სერიები, გვარი, ქცევა, კონტაქტი; სახელზმნა; ზმნიზედა; თანდებული; კავშირი; ნაწილაკი; შორისდებული.

წინადადება; სინტაქსური წყვილები, სინტაქსური ურთიერთობის სახეები; წინადადების სახეები შინაარსის მიხედვით; წინადადების წევრები; ქვემდებარისა და შემასმენლის ურთიერთობა რიცხვის მიხედვით; წინადადების სახეები აგებულების მიხედვით; მარტივი წინადადების სახეები; შერწყმული წინადადება, ერთგვარ წევრთა შეერთება; განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები; რთული წინადადება, რთული თანწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადება, რთული ქვეწყობილი წინადადების გადაკეთება მარტივად და მარტივი წინადადებებისა – რთულ ქვეწყობილად; პირდაპირი და ირიბი ნათქვამი; სასვენი ნიშნები, სასვენ ნიშანთა ხმარების წესები.

ამრიგად, აბიტურიენტი სწორად უნდა აგებდეს ენობრივ კონსტრუქციებს, უნდა ერკვეოდეს საგამოცდო პროგრამით გათვალისწინებულ საენათმეცნიერო ტერმინოლოგიაში და შეეძლოს წერის დროს ამ ცოდნის პრაქტიკული გამოყენება.

2. ქართული ლიტერატურა

აბიტურიენტი უნდა იცნობდეს:

- I. **მხატვრული ტექსტის ანალიზისათვის აუცილებელ ლიტერატურათმცოდნეობით ტერმინებს:** ალეგორია, ალუზია, აფორიზმი, ბიოგრაფია, გაპიროვნება, გროტესკი, დიალოგი, დრამა, ელეგია, ეპიგრაფი, ეპითეტი, ეპილოგი, ეპოსი, თემა, თქმულება, იგავ-არაკი, იდეა, ირონია, იუმორი, კომედია, კომპოზიცია, ლეგენდა, ლექსი, ლირიკა, მემუარი, მეტაფორა, მითი, მოთხრობა, მონოლოგი, მოტივი, მხატვრული ენა, მხატვრული სახე, ნოველა, ოდა, პეიზაჟი, პერიფრაზი, პერსონაჟი, პიესა, პოეზია, პოემა, პორტრეტი, პროზა, პროლოგი, პუბლიცისტიკა, რითმა, რიტმი, რომანი, სარკაზმი, სატირა, სიუჟეტი, სონეტი, სტროფი, ტაეპი, ტრაგედია, ტრიოლეტი, ტროპი, ფაბულა, ფინალი, შაირი, შედარება, ციტატა, ხასიათი, ხატოვანი თქმა, ჰიმნი, ჰიპერბოლა.

- II. **ლიტერატურული პროცესის ძირითად ეტაპებს:** სასულიერო მწერლობა, კლასიკური ხანის მწერლობა, აღორძინების ხანის მწერლობა, რომანტიზმი, რეალიზმი, მოდერნიზმი, პოსტმოდერნიზმი.
- III. **შემდეგ ლიტერატურულ ნაწარმოებებს:**
1. *იაკობ ხუცესი* – „შუშანიკის წამება“.
 2. *იოვანე საბანისძე* – „აბო თბილელის წამება“.
 3. *გიორგი მერჩულე* – „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“.
 4. *შოთა რუსთაველი* – „გეფხისტყაოსანი“.
 5. *სულხან-საბა ორბელიანი* – „სიბრძნე სიცრუისა“.
 6. *დავით გურამიშვილი* – „დავითიანი“.
 7. *გრიგოლ ორბელიანი* – ლექსები: „თამარ მეფის სახე ბეთანიის ეკლესიაში“, „პასუხი შვილთა“, „საღამო გამოსალმებისა“; პოემა „სადღევრძელო“.
 8. *ნიკოლოზ ბარათაშვილი* – ლექსები: „არ უკიჟინო, სატრფოლო...“, „გპოვე ტაძარი“, „მერა-ნი“, „რად ჰყვედრი კაცსა“, „სული ობოლი“, „სულთ ბოროტო“, „ფიქრნი მტკერის პირას“, „შემოღამება მთაწმინდაზე“, „ხმა იდუმალი“; პოემა „ბედი ქართლისა“.
 9. *ილია ჭავჭავაძე* – ლექსები: „ბაზალეთის ტბა“, „ბედნიერი ერი“, „ლოცვა“, „პასუხის პასუხი“, „პოეტი“, „ქართველის დედას“, „ჩემო კაღამო“; პოემები: „აჩრდილი“, „განდევილი“; მოთხრობები: „კაცია-ადამიანი?“, „მგზავრის წერილები“, „ოთარაანთ ქერივი“, „სარჩობე-ლაზედ“; პუბლიცისტიკა: „რა გითხრათ, რით გაგახაროთ?“
 10. *აკაკი წერეთელი* – ლექსები: „განთიადი“, „პოეტი“, „რაც არ იწვის, არ ანათებს“, „სულიკო“, „ხატის წინ“; პოემები: „გამზრდელი“, „თორნიკე ერისთავი“; მოთხრობა „ბაში-ახუკი“.
 11. *ალექსანდრე ყაზბეგი* – მოთხრობა „ხევისბერი გონა“.
 12. *ვაჟა-ფშაველა* – ლექსები: „არაგვს“, „არწივი“, „კაი ყმა“, „რამ შემქმნა ადამიანად“, „სიმღერა“ („არც რა ტანთ მცვია...“), „სოფლისა წესი ასეა“, „ღამე მთაში“; პოემები: „აღუდა ქეთელაური“, „ბახტრიონი“, „სტუმარ-მასპინძელი“; მოთხრობები: „ია“, „ხმელი წიფელი“; პუბლიცისტიკა: „კოსმოპოლიტიზმი და პატრიოტიზმი“.
 13. *დავით კლდიაშვილი* – მოთხრობა „სამანიშვილის დედინაცვალი“.
 14. *ნიკო ლორთქიფანიძე* – მოთხრობა „შელოცვა რადიოთი“.
 15. *ლევო ქიაჩელი* – მოთხრობა „ჰაკი აძბა“.
 16. *კონსტანტინე გამსახურდია* – რომანი „დიდოსტატის მარჯვენა“.
 17. *მიხეილ ჯავახიშვილი* – მოთხრობა „ლამბალო და ყაშა“.
 18. *გალაკტიონ ტაბიძე* – ლექსები: „ბავშვები კაფეში“, „თოვლი“, „მამული“, „მზეო თიბათვისა“, „მთაწმინდის მოვარე“, „სილაჟვარდე ანუ ვარდი სილაში“, „უსიყვარულოდ“, „ქებათა-ქება ნიკორწმინდას“, „შერიგება“.
 19. *ტიციან ტაბიძე* – ლექსები: „ანანურთან“, „ლექსი მეწყერი“, „მე ყაჩაღებმა მომკლეს არაგვზე“.
 20. *პაოლო იაშვილი* – ლექსები: „პირამიდებში“, „წერილი დედას“.
 21. *ვალერიან გაფრინდაშვილი* – ლექსები: „პროვინციალური გაზაფხული“, „სანტიმენტალური ტრიოლეტები“.
 22. *კოლაუ ნადირაძე* – ლექსი „25 თებერვალი, 1921 წელი“.
 23. *გიორგი ლეონიძე* – ლექსები: „ნინოწმინდის ღამე“, „ღამე ივერიისა“, „ყივჩაღის პაემანი“, „წიგნი ქართლის ცხოვრება“; მოთხრობა „მარიტა“ (წიგნიდან „ნატვრის ხე“).
 24. *გურამ რჩეულიშვილი* – მოთხრობა „ნელი ტანგო“.
 25. *ანა კალანდაძე* – ლექსები: „ლაჰილზე ისევ...“, „მოდოდო ნინო მთებით...“, „ფეხი დამად-გით...“.
 26. *ოთარ ჭილაძე* – ლექსი „როდესაც ასე ახლოა გრემი...“.
 27. *ჯემალ ქარჩხაძე* – მოთხრობა „იგი“.
 28. *ჭაბუა ამირეჯიბი* – რომანი „დათა თუთაშხია“ (ნაწყვეტი – სეთურის ეპიზოდი).
 29. *გურამ დონანაშვილი* – მოთხრობა „კაცი, რომელსაც ლიტერატურა ძლიერ უყვარდა“.